

# ატარებს თუ არა მასტირკლასებს საკრებულოს სხდომაზე დაპით მუშაობაზე?

**ალიონი.** 22 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე სულ ხუთი საკითხი განიხილეს. მათგან სკანდალური განდა საკითხი — „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

აუქციონზე გასატანად მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინა: მოძრავი ქონების სახით მუნიციპალიტეტის კუთვნილი 3 მსუბუქი ავტომობილი, კომპიუტერული ტექნიკა; უძრავი ქონების სახით — არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, ასევე მწვანე ნარგავი იყო.

დაბა ლაითურში, „კამფეტის ხის“ გასხვისების გამო, პროტესტი გამოხატეს დაბა ნასაკორალისა და სოფელ ჭანიეთის

მაჟორიტარებმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა **ბესო ქათამაძემ** და **დავით მჟავანაძემ**:

— დაბა ლაითურში ოლიგარქი „კამფეტის ხეს“ 4400 ლარად შეიძინა, მისი გადატანისას ათეულობით კილომეტრზე მწვანე ნარგავებს გაანადგურებს ისევე, როგორც გაანადგურებს ლაითურის კულტურის სახლი, სტადიონი. ლაითურელებს დაპირდნენ, რომ აუშენებდნენ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, ახალ სკვერს და გაუკეთებდნენ სტადიონს, მაგრამ არ შეასრულეს. ოლიგარქმა ივანიშვილმა მძიმე ტექნიკით 9 აპრილის შემორიდიც გაანადგურა — თქვა დავით მჟავანაძემ.

— ბიძინა ივანიშვილმა რომ გააკეთა, იმის ნახევარი გააკეთოს სხვამ — თავისი ემოცია გამოხატა ფრაქცია „ქართული

ოცნება -მწვანეები“-ს თავმჯდომარე **გენო ჩავლიშვილმა**.

— მასკარადისთვის ხართ აქ მოსული, რა გინდა საერთოდ? — ასე მიმართა ნაციონალ დეპუტატებს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა ჩხიკვიშვილმა**. საკრებულოს თავმჯდომარე დავით ღარიბაიძემ მჟავანაძეს რეგლამენტი შეასხენა, რაზედაც მჟავანაძემ უპასუხა: „ხომ იცით, მე ჩემს სიტყვას მაინც დავასრულებ“.

— ვინ აგებს პასუხს 2010 წელს აგებული სტადიონის აოხრებაზე? მის გაკეთებაზე ხომ ბიუჯეტმა ფული დახარჯა? — კითხვა დასვა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალარჩეულმა თავმჯდომარე ბესო ქათამაძემ.

— რაში სჭირდება ივანიშ-



ვილს ჩვენი ნაჩუქარი ხე? — დეპუტატები ოპოზიციონერ კოლეგას მიმართავენ.

ამავე საკითხზე განმარტება ითხოვა „ლეიბორისტმა“ დავით

**მამალაძემ**. — იქნებ ვინმე განმარტოს, მწვანე ნარგავობა უძრავ ქონებაში შედის, თუ მოძრავში?

დავით მამალაძის ამ

შეკითხვას დარბაზში სიცილი მოჰყვა. ამ დროისთვის სიტყვას ითხოვა ფრაქცია „ქართული



# ს ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .  
 ყოფილკავშირული ბაზოზუბაბა. № 4 (10298) 28 იანვარი, 2019 წ. შასი 60 თქმთრქ.

## „ბოლო დროს ბავრცელეზუმა ტრაბიკუზუმა ამბეზუმა ხალხი ცოტა ბამოაფხიზლა“



**შპს „სოკარ ჯორჯია“** გაზის სამეგრელო-ჯორჯის რეგიონალური ოფისის ოზურგეთის სერვის-ცენტრის მენეჯერი, გრიგოლ ელიაძე გვეუბნება, რომ ბოლო დროს ხალხი უფრო ყურადღებით ეკიდება ბუნებრივი აირის მოხმარებისას უსაფრთხოების წესების დაცვას.

**გრიგოლ ელიაძე:** ჩვენი სამსახურის პრიორიტეტი მოსახლეობის უსაფრთხოებაა. ამისთვის სხვადასხვა ღონისძიებას ვახორციელებთ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეზღუდებით ჩვენ მიერ გაცემულ „სტიკეტებს“ რომლებზეც უსაფრთხოებისთვის აუცილებელი წესები და ჩვენი საკონტაქტო ინფორმაციაა მითითებული. სპეციალურად მრიცხველებზე ვაკრავთ, რომ კარგად შესამჩნევი იყოს. თავშეყრის ადგილებშიც ხშირად შეზღუდებით ასეთ „სტიკეტებს“. ამას ყოველ წელს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ხალხი მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული. არც ერთი გამოძახება არ რჩება რეაგირების გარეშე. ხანდახან არ გვხვდება დარღვევა, მაგრამ ჩვენი თანამშრომელი მაინც აუცილებლად მიდის ადგილზე. ჩვენ მოქალაქეების თხოვნის

გარეშეც ვაწარმოებთ გვემიურ შემოწმებებს.

— ასეთი შემოწმების დროს ხშირად გხვდებით კუსტარული წესით დამონტაჟებული გაზის მოწყობილობები?

— რა თქმა უნდა. თუ ასეთი მონტაჟი საფრთხის შემცველია, ვწყვეტთ გაზის მიწოდებას.

— ასეთ შემთხვევაში დაჯარიმება თუ ხდება?

არა, მაგაზე სანქციები არ არის. საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებული ამბების გამო ცოტა გამოფხიზლდა ხალხი და გვიჯერებენ, თორემ კუსტარული მონტაჟისგან დაცვის სხვა მექანიზმის არ გვაქვს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში კარგი იქნებოდა ჯარიმა იყოს. ბუნებრივი აირის მოხმარებლები უფრო შეიკავებდნენ თავს ასეთი ქმედებისგან.

— კადრების გადამზადება თუ ხდება თქვენს სამსახურში. რამდენად კვალიფიციური კადრები გვყავთ ოზურგეთში?

— სანამ მივიღებთ სამსახურში, გადიან ჯერ თეორიულ და პრაქტიკულ კურსს, შემდეგ იწყებენ მუშაობას გამოსაცდელი ვადით. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ ვიღებთ სამსახურში.

— რამდენია გამოსაცდელი ვადა?

— დაახლოებით ორი თვე. ისე რომ, მოვიდეს და იმდღესვე მივიღოთ სამსახურში, არ ხდება.



## „შემა ზამთარში გვინდა, თორემ ზაფხულში გვინდა კარგად ვთბებოთ“

დავა, რომელშიც მოქალაქე თავისი თხოვნის უზუღვეულოფას, საჯარო მოხელე კი მოქალაქის მხრიდან საკომპანის მდღელობას ხელავს

### თემურ მარგანიშვილი

გასულ სამშაბათს, 22 იანვარს, შეშით დახმარების თხოვნაზე მერიისგან უარის მიღების შემდეგ, ოზურგეთელმა **ციური დვალისძე** რედაქციაში შემოგვიარა და მისი გასაჭირი და გულისტკივილი გაგვაცნო: ქალბატონი ციური და მისი ვაჟი **მამია დვალისძე** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრში მუშაობენ, ციური — მეზოვედ, მამია — ოპერატორად.

„შემის სათხოვნელად მივედი მერიაში, ირაკლი სირაძესთან, ახლა იქედან მოვიდვარ. ამდევრდა, ჯერ სად არის, ჯერ სხვები უნდა დაგვამყოფოთო. არ მეგონა, უარს თუ მეტყვიდა, რადგან კარგად იცოდა ჩემი მდგომარეობა. მართლა ძალიან გავვიჭირდა ამ ზამთარში, აქამდე გამოჭირდი თხილის ტოტებით ვთბებოდი. ახლა ისიც გამომელია და ფიქრებს ვეძებ, რომ საშუაოდან სახლში დაბრუნებულ, სიცვიისგან ვათოშილ შევილს თბილი წყლით ხელ-პირი დავაბანინო. ხელთათმანებსაც კი არ აძლევენ, პივიური ნორმები რომ დაცვათ. **შემა ზამთარში გვინდა, თორემ ზაფხულში მზეზეც კარგად ვთბებოთ.** მე რომ ვითხოვ, მამინ ელევით ყველაფერი და იცით რატომ? პირდაპირ მოქმედი რომ ვარ, ეს აღიზიანებო...  
 საუბარი ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა:

„ჩემი შვილი იყო, მაშინვე გადაურეკავთ და საყვედური უთქვამთ, დედაშენი იყო მერიამო. შეიძლება დაემუქრენ კიდევ, სამსახურიდან გამოშვებით. მაგი რომ სახლში გამოლუშვან, თბილისიდან ჩამოვიყვან უურნალობს. წინ წავიდილით მეგონა და უკან-უკან მივიდვარ ყველაფერში. სიმართლის თქმის უფლება თუ არ გვაქვს, კარგად გვექონია საქმე“.

ქალბატონი ციური ძვირს არ ამბობს თავისი სამსახურის ხელმძღვანელებზე, აი, ჯამაგირით კი ნამდვილად უკმაყოფილოა:

„არა მქვს პრეტენზია, კარგი ხალხია, არც მათ უნდა ჰქონდეთ პრეტენზიები ჩემს მიმართ, მაგრამ ხელფასით ვარ ძალიან უკმაყოფილო. როგორც გავიგე, ჩონატაურში მეზოვეს 450 ლარს აძლევენ, ქობულეთში კი — 750 ლარს. არ დაგიმალო-ავთ იმასაც, რომ ორ განაკვეთზე ვმუშაობ, მაგრამ ძლივს ვიღებ იმდენს, რამდენსაც ჩონატაურელი მეზოვე ერთ განაკვეთზე. 300 ლარამდე შევიღე უყრის თავს, მაგრამ ამ ბოლოს ისე მოხდა, რომ მელიკამენტებში ვერ ავკითავდა ჩვენი ხელფასები.“

ისე, ბატონი კოტე სანამ მერი გახდებოდა, გვირდებოდა, ქალბო, ცოტა მოითმინეთ და 100-100 ლარს მოგიმატებოთ. 100 ლარს ვინ ამბობს, 20 რომ



მოემატებინა, ისიც კარგი იყო“.

საკვალალო მდგომარეობაში ყოფილა ჩვენი რესპოდენტის საცხოვრებელი ბინაც. როგორც თვითონ ამბობს, ჯერ კიდევ ქმრის გარდაცვალებამდე (ერთი წელი არ გასულა) შეპირდნენ სახლის გადახურვას, რომელიც ზედიზედ ოთხჯერ დააზიანა სტიქიამ, ამ ბოლოს კი განცხადება განაახლებინეს:

„ძლიერმა ქარმა ოთხჯერ ზედიზედ დაძიზიანა სახლის სახურავი, რომელიც მთლიანად შესაცვლელია. ყოფილი მერის, ბეგი სიორიძის დროს უნდა გადახურულიყო, ვერ მოეწყო, მერეც შემპირდნენ, სანამ მეუღლე გარდაემცვლებოდა. ახლა

განმახლებინეს განცხადება და იქნებ დამადგეს საშველი.“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ირაკლი სირაძე** გვიდასტურებს, რომ მერიაში შეშის თაობაზე მისული ციური დვალისძე იყო უარით გამოისტუმრა, თუმცა, ყოველგვარი ხმის აწვევის გარეშე, აქვე გვეუბნება, რომ მუდმივად საბოტაჟის მცდელობაშია ეს ქალბატონი:

„იცით, ალბათ, ციური დვალისძე, თავის ვაჟთან ერთად, ჩვენთან დასუფთავების სექტორში მუშაობს, ანუ ოჯახიდან ორი წევრი დასაქმებულია.“





# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:  
ერთი თვით - 2,40 ლარი,  
სამი თვით - 7,20 ლარი,  
6 თვით -14,40 ლარი,  
ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიორიანსა და ინფორმაციის მისაღებად არიან კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
რედაქტორი  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani@rambler.ru  
558 499100  
საინფორმაციო სამსახურის  
ხელმძღვანელი  
**თემურ მარმანიშვილი**  
tem52@mail.ru  
599 373515  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
551 576060  
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. პაატაშვილის ქ. №77

დაინყეთ ყოველი  
ოქმებათი აღიონზე  
«ალიონი»

# ატარებს თუ არა მასტერკლასებს საკრებულოს სხდომაზე დავით მუხამანაძე?

ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე ტარიელ (გელა) არ-ოშიძემ, თუმცა ნაციონალმა დეპუტატებმა პროტესტის მომიზეზებით დარბაზი დატოვეს. ნაციონალ დეპუტატებს კომენტარების ჩასაწერად დარბაზიდან გაკვეთენ ცენტრალური და ადგილობრივი ტელევიზიების ჟურნალისტებიც.

„დავით მუხამანაძე მასტერკლასს ატარებს. დღეს მან გვჩვენა, როგორ არ უნდა მოიქცეს საკრებულოს წევრი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, დაბალი უწოდეს „აოხრებული“, მე მოგასწავლეთ, თუნდაც რამ-

დენიმე მასტერკლასის შესახებ, რომელიც განხორციელდა ამ დარბაზში: დასრულდა სასმელი წყლით მომარაგების პროექტი, მიმდინარეობს გაზიფიკაციის სამუშაოები. გასულ წელს დასრულდა ლაითური-ცეცხლაურის 7 კმ მონაკვეთის მოასფალტება და ახლა აჭარასთან გვაქვს ლაითურის გავლით თანამედროვე, მოასფალტებული გზა.

მინდა შეგასწავლოთ, რომ ორი წლის წინ ექსპლოატაციაში შევიდა მერია-ლაითურის დამაკავშირებელი ხიდი, რომლის მშენებლობაზე საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა ბიუჯეტიდან. მიღწეობის პროგრამით მიმდინარეობს ლაითურის

სავარო სკოლის სარემონტო სამუშაოები. უახლოეს პერიოდში იგეგმება ლაითური-ნარუჯა-ოზურგეთის დამაკავშირებელი 8 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის მოასფალტება. - ეს ის პროექტებია, რომლებიც მცირე დროში განხორციელდა და უახლოეს პერიოდში დაიწყება დაბაში. თქვენ ოპონენტები ამას თუ „აოხრებას“ ეძახით, ეს თქვენი პრობლემაა! ...

და ბოლოს, მივმართავ ბატონ დავით მუხამანაძეს, რომელიც ამავდროულად სოფელ ჭანიეთის მაჟორიტარია: -ბატონო დავით, თუ ასეთი ტიპის „აოხრებები“ გავრცელდა, როგორც ეს თქვენ

სოფელშია, უნდა გინაროდეთ. სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში განხორციელდა სოფელ ჭანიეთში გაზიფიკაციის სამუშაოები, ამენდა ახალი საბავშვო ბაღი, ულტრა თანამედროვე სავარო სკოლა, ჭანიეთის ცენტრის გავლით, ქობულეთის საზღვრამდე მოეწყო ახალი მოასფალტებული გზა და თქვენ ამას „აოხრებას“ ეძახით? დიდი სურვილი გვაქვს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდეს მსგავსი მასტერკლასი ინფრასტრუქტურული პროექტები.“-განაცხადა ტარიელ (გელა) აროშიძემ.

## საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე



სხდომაზე განისაზღვრა. დამტკიცდა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა, ასევე ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა განკარგულება ქალაქ ოზურგეთში გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. 3 მდებარე 36.2 კვ.მ. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალ-იტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. აღნიშნული ქონება, იმ ფართს ეხება, სადაც სტატისტიკის რეგიონალური სამსახური უნდა განთავსდეს, უფლებამოსილების გამოხორციელების მიზნით.

საკრებულომ ცნობად მიიღო საკრებულოს წევრის ლავრენტი ბიგვაჯას მიერ 2018 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ შემაჯავებელი ანგარიში, ასევე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ცვლილების შესახებ ინფორმაცია, დავით მუხამანაძე ბესიკ ქათამაძემ ჩაანაცვლა.

გაიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, სადაც 4 საკითხი განიხილეს. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - დადგენილების მისაღებად. წარმოების ვადა საკრებულოს მორიგ

## „ბოლო დროს გავრცელებულმა ტრაგიკულმა ავბიბამ ხალხი ცოტა გამოაფხიზლა“

- თეორიული კურსის გავლა სად ხდება?  
- ხან ჩვენთან ოზურგეთში, ხან ფოთში ჩადიან რეგიონულ ცენტრში.  
- რამდენი აბონენტი ჰყავს სოკარს ოზურგეთში?  
- უკვე 14 000-ზე მეტი.  
- რამდენი თანამშრომელი გყავთ, რომლებიც კონკრეტულად ტექნიკურ სამუშაოს ასრულებენ?  
- სპეციალისტები და ოსტატები სულ 35.  
- დავლიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, რამდენ ხანში უწყდება აბონენტს გაზის მიწოდება?  
- ყველა აბონენტს მიღის მოკლე ტექსტური შეტყობინება, სადაც დავალიანების გადახდის ბოლო ვადაა მითითებული. ჩვენ გვაქვს უფლება, ამ დღის ბოლოსვე ჩავკრათ, თუმცა ზოგ-

ჯერ ორი სამი დღის მერე ხდება მიწოდების შეწყვეტა.  
- ვთქვით „ჩაჭრის“ შემდეგ გადაიხდა აბონენტმა დავალიანება. რამდენ ხანში აღუდგება გაზის მიწოდება?  
- 3-4 საათში. გადახდის შესახებ შეტყობინება ავტომატურ რეჟიმში მოდის ჩვენთან. აბონენტს დარეკვაც არ ჭირდება. გადახდისთანავე ხდება ასახვა ჩვენს ელექტრონულ ბაზაში. კონკრეტულ უბანზე მიმდებარეულ თანამშრომელს მიწოდების აღდგენისთვის აქვს ვადა დაწესებული. იმ ვადაში არჩართვის შემთხვევაში ჯარიმდება ჩვენივე თანამშრომელი.  
აბონენტთა საყურადღებოდ-სოკარის ცხელი ხაზი: 16 114  
ესაუბრა ბარი კომოვი

## ინფორმაცია საბავშვო ბაღიდან ბავშვის გამოპარვის შესახებ სიმაართლეს არ შეესაბამება

24 იანვარს ერთ-ერთი მედიასამუშაოების ვებ- და ფეისბუქგვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, ოზურგეთის ერთ-ერთი საბავშვო ბაღიდან ბავშვი გამოპარვით, რომელიც რედაქციაში მისულა და ერთ-ერთ პერსონალურ კომპიუტერთან დამჯდარა.

რედაქციის თანამშრომლებსა და იმ დროისათვის ოფისში მყოფ სტუდენტებს „გვარდინი დაკითხვითაც“ ვერ დაუდგინათ ბავშვის ვინაობა. ბავშვს ეს უთქვამს მხოლოდ: „მასწავლებელს ვეჩხუბე და ბაღიდან გამოვიპარე“.

პოლიციის გამოძახება რომ დაუპირებათ, დახლოებით სუთი წლის გოგონა გაპარვებული ჩამოიხტარა კომპიუტერის მაგიდიდან, ფურცლებით ხელში

ოფისიდან გაქცეულა, გადაუკეთავს კინოთეატრ „ოზურგეთის“ ტერიტორია, „ჭადრების ბაღი... დაღვნიან და რა დაუნახავთ: ბავშვს მისი ახლობლები და მთელი საბავშვო საშინაური ეხებდა. დახლოებით სამი საბავშვო ეკიპაჟი კი ოზურგეთის ოქსტიციის სახლიდან იდგა, თურმე.

გაურკვევიათ, რომ ბავშვმა ოჯახის წევრები ნახა და სამშვიდობოა, მაგრამ გაურკვეველი დარჩენილა ერთი რამ: - რა აწყენინა ასეთი ბავის მასწავლებელმა გოგონას, რის გამოც ის „ინტენიუტი“ „ცხელ ხაზთან“ ცდილობდა დაკავშირებას. როგორ ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელმა მაკა ჭყონიამ

„ალიონთან“ საუბარში თქვა, არ დასტურდება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რომელიმე ბაღიდან ბავშვი გამოიპარა: „ინფორმაციის გაცნობიდანვე, მაშინვე დაეკავშირდი როგორც ქალაქის, ისე სოფლების საბავშვო ბაღების მენეჯერებს, რომელთა თქმით, თავიანთი სახელმძღვანელო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მსგავსი არავფერი მომხდარა. არც ბავშვის მშობელი მოსულა და არც სატელეფონო შეტყობინება მივიღია. არც ბავშვის ბიძას, რომელიც ბავშვს ეხებდა, საბავშვო პოლიციისთვის მსგავსი არავფერი უთქვამს. მეტი რა ვითხრათ, არ ვიცი. არ დასტურდება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღიდან ბავშვი გამოიპარა“.

საპატრულო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, საპატრულო პოლიციას დახმარებისთვის ბავშვის ბიძამ მიმართა: „საპატრულო პოლიციას დახმარებისთვის ბავშვის ბიძამ მიმართა, როგორც მან განმარტა, ბავშვი მანქანაში დატოვა და თვითონ რამდენიმე წუთით ოქსტიციის სახლში შევიდა პირად საქმეზე, უკან დაბრუნებულმა, როცა ნახა, ბავშვი მანქანაში აღარ იყო, იქვე, საპატრულო პოლიციაში მივიდა და დახმარება ითხოვა. ცოტა ხანში ბავშვი ჭადრების ბაღში ნახეს და სალ-სალამათი ჩააბარეს ბიძას“.

ასე რომ, ინფორმაცია, სუთი წლამდე ასაკის ბავშვი მასწავლებელს გაუბრაზდა და საბავშვო ბაღიდან გამოიპარა, სიმაართლეს არ შეესაბამება.

## უმხვედრა დაბა ურეკისა და ფერმადალას მოსახლეობასთან

ოზურგეთში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან მორიგი შეხვედრა გაიმართა. გურიაში სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, ადგილობრივი ხელი-სუფლების წარმომადგენლებთან ერთად, დაბა ურეკისა და ფერმადალას მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობით დაგეგმვისა და კომუნიკაციის სამსახურის უფროსი გიორგი ინწირველი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თემურ გიორგაძე დაბა ურეკში მერის წარმომადგენელთან და მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად დაესწრნენ.

მოსახლეობის გადაწყვეტილებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ურეკში განხორციელდება: დაბა ურეკის კულტურის სახლის გათბობის სის-



ტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების გაწმენდა, გარე განათებისა და შიდა გზების მოწყობა.

„რეგიონში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლის კრებების

ჩატარება. დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა მოსახლეობასთან კონსულტაციებით, სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით ხდება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობა თავად განსაზღვრავს, თუ

რა ტიპის პროექტის განხორციელებას დაუჭერს მხარს, საკუთარ სოფელში თუ დაბაში. მათ უკეთ იციან, რა არის საჭირო და ეს არის ბიძგი სოფლის გამოცოცხლებისთვის“ - განაცხადა ზურაბ ნასარაიამ.

შეგახსენებთ, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა აღდგა, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეფონდის) ქვეკომპონენტია და რომლის ფარგლებშიც, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საკეთილდღეოდ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ის ადგილები მიინახულეს, რომლის მოწესრიგებასაც მოსახლეობა ითხოვს.



# საპალატიო დაპროექტით პენსია - გაუბრუნებლობა, ხალხის ნების, კანონის წინააღმდეგ?! დასაქმებელი საბიუჯეტო ორგანიზაციები, 2019 წლის პენსიის საპენსიო დანაშობის თავის 2%-ს არ დააბრუნებენ

## „რაღა ამ 2%-იან დაპროექტს გადასახალი არ ჰქვია და იმი იმულებით თანხის გასახსნება, გამოდის, რომ ეს საპროექტის უფლების ხელყოფა“



საზოგადოების სულ პატარა გამოკითხვებში აჩვენა, რომ მას არ სურს დაგროვებითი პენსიის ფონდში თანხების გადარეგულირება, რადგან არსებობს უნდობლობის საფუძველი. თუმცა ხელისუფლებას, ხალხის მსახურს, ამ რეფორმისათვის ჩვენი თანხმობა სულაც არ სჭირდება ანუ ჩემს საკუთრებას, ხელფასს ენება და კანონის სახელით მართებს.

ვერ თვისების შეფასებები მოვისმინეთ. გვესაუბრება საქართველოს თვისების ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი ბატონი თამაზ ტრაპაძე.

**ბატონო თამაზ, რამდენად სამართლიანია ასეთი კანონი?**

- სამართლიანობის შეგრძნება თითოეული მოქალაქისთვის ინდივიდუალურია და შესაძამისად სხვადასხვაგვარია. ჩემი პირადი მოსაზრებით, კანონი სამართლიანი იქნება იმ შემთხვევაში თუ პენსიის დაგროვება არა საგადასახლო, არამედ ნებაყოფლობითი იქნება.

**სამწუხაროდ, არის ჩვენი ეროვნული ვალუტის დიდი ინფლაცია, რაც ლარის დაგროვებას სარისკოს ხდის. ამას ითვალისწინებს კანონი? არის გარანტია, რომ დღევანდელი 5 ლარი 20-40 წლის შემდეგ იმდენივე ან მეტი იქნება? თუ დანაშობი**

**გაუფასურებელი იქნა, ასურული ხდება დაგროვება.**

- ინფლაციას კანონი არ ითვალისწინებს და სწორედ ეს არის მისი ერთ-ერთი უდიდესი ხარვეზი. თუ გაითვალისწინებთ ბოლო წლებში არსებულ ინფლაციის დინამიკას, გამოდის, რომ სახელმწიფო 2%-ს კი არ უმატებს დასაქმებულს, არამედ მისგან იღებს დღეს და გაუფასურებელი თანხის სახით უკან უბრუნებს საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ.

**მოქალაქის ნებაყოფლობითი თანხის ჩამოჭრა არის კერძო საკუთრების ხელყოფა?**

- რადგან ამ 2%-იან დაქვითვას გადასხმული არ ჰქვია და იგი იძულებით თანხის გასესხება, გამოდის, რომ ეს საკუთრების უფლების ხელყოფაა.

რეფორმის ნაკლია ისიც, რომ კანონი არაჯანსაღ კონკურენციას აყენებს 40 წლამდე და 40 წელს გადაცილებულ პირებს. ასე მაგალითად: თუ მე ვარ დასაქმებული კომპანია ვაკანტური ადგილის დასაკავებლად მოვიდა ორი აბსოლუტურად ერთიდაიგივე მონაცემების მქონე პირი და მათ შორის მხოლოდ ასაკობრივი განსხვავებაა, ერთი არის 40 წლამდე ასაკის, მეორე კი 40-ს ზემოთ. პირადი ინტერესიდან გამომდინარე

იმისთვის, რომ ზედმეტი 2% არ გადავიხადო, როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი არჩევანს სწორედ 40 წელს გადაცილებულ პირზე გავაკეთებ.

საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლო რა გადაწყვეტილებას მიიღებს. მოგეხსენებათ, რომ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას შეტანილი აქვს კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში.

**არის გარანტია, რომ ეს თანხები არ იქნება წართმეული? მასწავლება საბჭოთა ქვეყნის ობლიგაციები - თანხები, რომელიც სახელმწიფომ ისესხა მოქალაქეებიდან და ძირითადად, არ გაანაღდა.**

- წართმევა იმდენად ხდება რომ მომავალში შეიძლება არ დაუბრუნოს ეს თანხა პენსიაში გასვლის მომენტისთვის? თუ ამას გულისხმობთ ეს შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდეს, როცა სახელმწიფო არ არის შემდგარი.

საბოლოოდ შემიძლია ვითხროთ, რომ კანონს აქვს ძალიან ბევრი ხარვეზი და მასში არის მრავალი რეგულაცია, რომელიც ვერ კიდევ არ არის დახუჭული, თუ როგორ უნდა იმუშაოს მან პრაქტიკაში.

პირველი სამი თვე საპენსიო დანაშობის ჩამოჭრა ხელფასიდან ორმოც წელს ზემოთ პირებსაც ენება, ქალებს 55 წლამდე, მამაკაცებს 60 წლამდე. მათ უარის სათქმელად მხოლოდ აპრილ-მაისის პერიოდი ეძლევათ. თუ ამ ვადაში ვერ ჩაუტია ეს პროცესი, შემდეგ პირი ამ სისტემიდან ვეღარ გამოდის, ანუ ავრთვებს 2%-ს საკუთარი ნების წინააღმდეგ.

ერთი მოქალაქის პენსიის დაგროვებაში მონაწილეობს მოქალაქე, დამსაქმებელი, სახელმწიფო.

თუმცა... სახელმწიფომ მისცა ნება საბიუჯეტო სისტემის დამსაქმებელს 2019 წლის მანძილზე გამოითხოვოს ამ პროცესს, საბიუჯეტო ორგანიზაციებში შესაძამისი თანხების არარსებობის გამო:

**ბატონო ტრაპაძე, ოზურგეთის მერიის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი:** „ -

დაგროვებითი საპენსიო ფონდში დარიცხული ხელფასის 2% უნდა გადაიხადოს დამსაქმებელმა, მაგრამ რაც შეეხება მუნიციპალიტეტებს და მის (ა)იპი-ს, გვეჭირდა საუბარი სამინისტროსთან და დამსაქმებლის ეს 2% ამოვარდება 2019 წლის განმავლობაში. ეს არ ენება კერძო ფირმებს. მუნიციპალიტეტის სტრუქტურაში დასაქმებული თვის 2%-ს გადაიხდის, შუა რიგის, ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი და მის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციები ამოვარდება, რადგან ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ეს თანხები. თვის 2%-ს დარიცხავს სახელმწიფო. 2+2+2-ს ნაცვლად დაგროვდება 2+2. წელს იქნება ასე და სამომავლოდ, როგორც გადაწყვეტილია.

არაინფორმირებულ მოქალაქეებს კი ჰგონიათ, რომ მათ 2%-ს კიდევ 4 ემატება.

„ - გამოდის, რომ სახელმწიფო უკვე მატყუებს - მითხრა რესპოდენტმა, რომელმაც ვინააბა არ გამოხილა - ვერ ვნდობი ამ რეფორმას, ნებაყოფლობის შემთხვევაში აუცილებლად უარს ვიტყვი მასში მონაწილეობაზე.“

გაურკვეველია, შეუძლია თუ არა მოქალაქის აკონტროლოს მისი დანაშობის ზრდის პროცესი, სად შეიძლება მიიღოს ამის შესახებ ინფორმაცია მითხვინის შესაძამისად.

ასევე ინკონტროლურად მიტოვებული, დარღვეულია შრომის კანონი, დასაქმებულის უფლებები მიიღოს და განკარგოს თავისი კუთვნილი ხელფასი შეხელულებისაგან. კანონით ბათილია სამომავლოდ დაგროვებულ კაპიტალზე დღეს არარსებულ ღირებულება, რომლის უსაფრთხოება დაცულიც არაა, ზემოთ თუ წერილობითი ყველა ხელშეკრულება, შეთანხმება, რაც ამ შემთხვევაში იდება სახელმწიფოსა და მოქალაქის შორის.

მოქალაქეები დაგროვებითი პენსიის სიკეთეზე მეტად დღეს გაურკვეველობას ხელფასს.

**მარიამ თვალაყაძე:** დაგროვებითი პენსიის იდეას ვემხრობი, თუმცა დღეს ჩემთვის გაუც-

ხარი როგორ მოხდება ამის გადნაწილება. მე პენსიამდე მიკვლი 31 წელიწადი, თუ პენსიის მერე მხოლოდ 5 წელი ვიცოცხლებ, სად წავა ეს თანხები? იქნებ არის ამაზე პასუხი, მაგრამ მე არ მომიხმენია. უნდა დახუჭულს ყველაფერი.

**უცნობი:** ქვეყანა არეულია, მთავრობაც და ლარის კურსიც ყველ წუთას იცვლება. ნადრევეა ჩვენთვის ეს რეფორმა.

**თუ კვლავ:** დაგროვებითი პენსიის თვის ბევრ კითხვის ნიშნის შეიცავს, ჩემთვის მოუღებელია და სამომავლო სიკეთეს მგით ვერ ვხედავ.

**ნარული კვლავ:** ასე დაბალ ხელფასზე საპენსიო თანხის ჩამოჭრა არ მიმჩნია სწორად.

**ნოდარ ლომიძე:** არარეალურია, ჩვენს ქვეყანას ასეთის როგორ მითვისა ხალხის ფული ბანკმა, მაგრამ ახლა საგადასახლო დაგროვება და არ შეიძლება არავფერს. იქნება მოგვედღა ვის აძლევს ჩემს პენსიას? ისეთი ცხოვრება ახლა, ბევრი ვერ აღწევს საპენსიო ასაკს.

**თუნა ლომიძე:** კატეგორიულად ვემხრობი ადამიანებს. არ არის ეს ხალხის სასიკეთოდ მოგონილი.

**შორენა ლომიძე:** არ მომწონს საპენსიო თანხების ჩემი ხელფასიდან უკითხავად გადნაწილება. ადრე ბანკმა, ჩნარტიშვილებმა, სიორიძეებმა და სხვებმა ისევე ჩემი გაძარცვეთ, ის ფული რომ მქონოდა, იქნებ დღეს ასე დანაშობი არ ვყოფილიყავი. ახლაც მაქვს უნდობლობა იმ ადამიანების მიმართ, ვინც ამ რეფორმას ახორციელებს.

ზოგი რესპოდენტი ინკონტროლა, დანარჩენებს ფოტოზე უარი განაცხადეს... მეტი დემოკრატია და მთავრობისა და ხალხის ერთობა გვეჭირდება. ერთი-ერთი საწუხარი - თუ ასეთია ხალხის აზრი, სადაა საპროტესტო აქცია, მხოლოდ ერთი ორგანიზაციის პროტესტია გამოსავალი?!

**ლია კილაძე**

## „შეშა ზამთარში გვინდა, თორემ ზაფხულში გვინდა კარგად ვითბობით“ დავა, რომელშიც მოქალაქე თავისი თხოვნის უზუღვებელყოფას, საჯარო მოხელე კი მოქალაქის მხრიდან საბოტაჟის მცდელობას

მოსახლეობის შემთხვევაში მომარაგების პრობლემა არ გვაქვს სოციალურ პროგრამაში. სოციალურში ვვიდევს დეველოპმენტზე 200-ლარიანი დახმარება, რომელიც მათ უნდა გამოიყენონ სათბობის შესაძენად. ბუნებრივი აირის დაწვავენ, ელექტროენერჯიას გასათბობად თუ შეშას იყიდიან, ეს უკვე მათი გადასაწყვეტია. სხვა მხრივ, ჩვენ არ გვაქვს ვალდებულება სათბობით უზრუნველყოთ მოსახლეობა. მაგრამ, როდესაც გვეჭირდება სანიტარული ჭრები, შეჭირვებული ოჯახებს, ვისაც განაცხადები ჰქონდა შემოტანილი, გადავეცით ცოტ-ცოტა. დაახლოებით 200-მდე ოჯახია ამ გზით შემის მომლოდინე, მათ შორის ძალიან ბევრი ისეთია, რომელშიც მოხუცებულებია, ბავშვებიცაა, უმწიფოები არიან და ელემენტალურად პურის შესაძენი თანხის პრობლემა აქვთ. ამ ეტაპზე 60-მდე ოჯახი არის მხოლოდ დაკმაყოფილებული. ქალბატონი ციური დაჟინებით მოითხოვს, დაუყინებლივ, ამ წუთშივე მიეცეს შეშა. ახალი ჭრები ვერ არ განხორციელებულა, ქალბატონი ციურის, ყოველგვარი ხმის აწევის გარეშე, რამდენჯერმე ავუხსენი, როცა დაიწყება ჭრები, თქვენც დაგაკმაყოფილებთ, მაგრამ აქვე ვუთხარი, არიან აბსოლუ-

ტურად უშემოსავლო ოჯახები, რომელთაც გვერდზე ვერ გადავწყვეთ-მეთქი.“

**ბატონო ირაკლი, ქალბატონი ციური რედაქციაში ახალმოსული იყო, როცა თავისმა შეიღმა დაურეკა. ქალბატონი ციურის თქმით, იმის გამო, რომ რედაქციაში მოვიდა, შესაძლოა, მის შეიღს სამსახურში პრობლემა შეექმნას, უკვე დაურეკავთ მისთვის.**

- არა, რას ამბობთ?! რა შუაშია მისი შეიღი, სახელიც კი არ ვიცი მისი. ქალბატონმა ციურმა, როცა ჩემს კაბინეტს ტოვებდა, კარებიდან მომამხსნა ხელთათმანები არ ეძლევა ჩემს შეიღსო. ავიღე ტელეფონი და სერვისცენტრის ხელმძღვანელ თინო ქუტიძესთან დაურეკე, რატომ არ ეძლეოდა თანამშრომელს ხელთათმანი. რას ჰქვია, არ ეძლევა, ერთი ყუთი თუ რამდენიმე შეკვრა ავერ გვიდევს, არ მოუთხოვიაო. თუ დაეხა, ხომ უნდა მოითხოვოს, სიზმარს ხომ არ ნახავდნენ. კურჩი, აწი რომ გადასცემ, ხელი მოაწერიან-მეთქი. ეს იყო და ეს.

ასეთ მაქნაცვებს აკეთებს ეს ქალი. გადავამოწმებ მერე, სხვანაირადაა. მუდმივად საბოტაჟის მცდელობა აქვს.

იცი, ანუ თუ არ დაკმაყოფილდა, ვვირილზე გადადი. მაგაზე რამდენად გაჭირვებულები ცხოვრობენ ოზურგეთში, მაგრამ ზრდილობიანად იციან შემოსვლა და დალოდება.

2013-2014 წლებშიც, როცა ამ თანამდებობაზე ვმუშაობდი, მაშინაც ასე ვფიქრობდა. რამდენჯერმე გავუვ ზავნე შეშა, ერთხელ თუ ორჯერ. ანუ რა გამოდის, ვინც აქ მოვა და იყვირებს, -საფუძვლიანია ეს ყვირილი თუ უსაფუძვლო, - ყველა უნდა დაგაკმაყოფილოთ?!

როგორც ვითხარით, დედაც და შეიღიც დასაქმებულია და ორივე ხელფასს იღებს. მერწმუნეთ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი ოჯახია ისეთი, თვეში ათას ლამარამდე შემოსავალი რომ არ აქვს. ქალბატონი ციურის ეურჩევთ ლამაზად და წყნარად გააკეთოს თავისი საქმე. შესაძლებლობის შემთხვევაში დავეხმარებით კიდევ, მაგრამ თუ ასე განაგრძობს, ნამდვილად დადგება მისი გათავისუფლების საკითხი და მის ადგილზე მოვა ისეთი კეთილსინდისიერი მშრომელი, რომელიც დააფასებს იმას, რომ მუშაობს და ხელფასს იღებს.“

ყოველთვის უხეშად მომართვა

### მეფუტკრეთა საყურადღებოდ!

კოოპერატივი „თანამედროვე მეფუტკრეთა“ ლისონის ფირმის თანამედროვე დანადგარებით მეფუტკრეებს თავაზობს ფუტკრის საკვებ პროდუქტებს - „კანდს“ და „ინვერსიულ სიროფს“ ხელსაყრელ ფასებში:

- 1 კგ კანდი - 4 ლარი,
- 1 კგ ინვერსიული სიროფი (ბუნებრივი ფერმენტებით) - 2.5 ლარი,
- 1 კგ ინვერსიული სიროფი (თაფლით) - 4 ლარი.

ასევე მსურველებს მოგვმსახურებით თავიანთი ნელ-ლეულით.

მისამართი: ლანჩხუთი, სოფ. გვიმბალაური.  
ტელ: 551 841 841; 593 222 216; 593 272 9000.

გამოინახეთ გაზეთი „ალიონი“  
ერთ წლით - 30 ლარი  
6 თვით - 15 ლარი  
3 თვით - 7.50 ლარი



# მოსახლეობასთან უხვკვლევები ბრძოლა



სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მელექედურის, ნასაკირალისა და სილაურის ტერიტორიულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართა.

შეხვედრებს გურიაში სახელმწიფო რწმუნებუ-

ლის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, ოზურგეთის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე და აღნიშნული სოფლებში მერის წარმომადგენლები და დეპუტატები ესწრებოდნენ.

მსჯელობის შედეგად, ადგილობრივებმა თავიანთ პრიორიტეტებად რამდენიმე საკითხი დასვეს. სილაურის მოსახლეობამ საყვანე ფართობების შეღობვა, წყლის მიღების შექმნა და გარე განათების მოწყობა გადაწყვიტა.

მელექედურში სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, ომში დაღუპულთა მემორიალის აღდგენა, მესამე ბრიგადაში მგზავრთა მოსაცდელის გაკეთება, ბეტონის გზის დაგება და საბავშვო ბაღის ეზოში ბილიკის მოწყობა გადაწყდა.

რაც შეეხება ნასაკირალს, საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონების მოწყობა და იატაკის შეკეთება, ასევე შიდა გზების რეაბილიტაცია დაიგეგმა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები 27 თებერვლამდე გაგრძელდება.

# ოზურგეთი-ნატანები-ურეკის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოზურგეთი-ნატანები-ურეკის სახელმწიფო მნიშვნელობის 6 კმ - მდე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება.

გზის სამშენებლო სამუშაოებს სახელმწიფო რწმუნებული გურიაში ზურაბ ნასარაია გაეცნო.

პროექტი, რომლის ღირებულება 4 მილიონ 539 ათას 604 ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. სამუშაოები მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდება.

# ნაღობილევში საბავშვო ბაღი გადის ურა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფელ ნაღობილევში სტიქიის შედეგად დაზიანებული საბავშვო ბაღის შენობა გადაიხურა.

დასრულებული სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ოსიკო თოთიბაძემ, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობით დაგეგმვისა და კომუნიკაციის სამსახურის უფროსმა გიორგი ინწკირველმა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა თემურ გიორგაძემ დაათვალიერეს.



# ბობორქეთში მფყმრისაბან დაზიანებულ აღბილვის აღდგენას ითხოვენ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ გოგორეთის უბანში მეწყრისგან დაზიანებული აღბილვი დაათვალიერა, ადგილობრივ მოსახლეობას დახმარება აღუთქვა და აღნიშნა, რომ სამუშაოები გეოლოგების დასკვნის საფუძველზე დაიწყება.



# ჩვენი ბავშვობის მდინარე-2

## ღია წერილი საქართველოს საზოგადოებას და მის მიერ არჩეულ ხელისუფლებას

„ორი“ იმიტომ, რომ პირველად 10 წლის წინათ მოვსინჯე, გამეღიბებინა ჩვენი საზოგადოების და ხელისუფლების სინდისი, მდინარეების დაბინძურების, მათი ნაპირების უმოწყალოდ ნგრევის, უკუღმართი, ბარბაროსული მეთოდებით თევზის განადგურებისა და უამრავი სხვა სისხლის სამართლის დანაშაულის გარეშე, მაგრამ მას შემდეგ მდგომარეობა ამ სფეროში, როგორც ყველა სხვა დანარჩენში, გაუმჯობესების ნაცვლად, გაუარესდა.

შეიძლება ბევრ თქვენგანს გაუკვირდეს (და მართალიც იქნებოდა), რა სახსენებელია ე. წ. საზოგადოება და მითუმეტეს ხელისუფლება, რომელთა რეალურად მახინჯი ფორმით არსებობა რომ არა, უნიკალური ბუნების მქონე, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა მსგავს სამარცხვინო მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა.

ერთხელ მერგო „პატივი“ შევხვედროდი ქვეყნის პარლამენტის აგრარული კომიტეტის ხელმძღვანელს გიგლა აგულაშვილს. საკითხი ეხებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭში კალმახის ლიფსიტების მეურნეობის მშენებლობას.

არ მახსოვს, რა კონტექსტში იყო ნახსენები ბრაკონიერობა საქართველოს მდინარეებში, რამაც გამახსენა ფრინველთაგან ოფოფისა და მდინარის კობორჩხალის აბსოლუტური განადგურება დასავლეთ საქართველოში, საკითხი, რომელმაც ძალზე გააღიზიანა ყოფილი პროკურორი: — რა დროს ოფოფი და კობორჩხალიაო! წარმოიდგინეთ, რომ ცოტა ხნის შემდეგ ეს პიროვნება დაინიშნა საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრად. საბედნიეროდ, ეს სამინ-

ისტრო დღეისათვის აღარ არსებობს, მაგრამ ვის შუქშია დაგვიტყვიდეს, რომ მისი გაუქმების შემდეგ, გარემოს დაცვა უფრო კომპეტენტური პიროვნების ხელშია?! (დამერთმა ხელი მოუშარტოს, მაგრამ დღითიდღე რომ უარესდება მდგომარეობა?)

პირველ წერილში (12 წლის წინათ), როგორც მახსოვს, მქონდა მაგალითი ჯორჯ ვაშინგტონის ცხოვრებიდან: მრავალფეროვანი ქვეყნის მამამ, ვისაც თხოვეს (როგორც დამაარსებელს) დარჩენილიყო სიცოცხლის ბოლომდე ქვეყნის პრეზიდენტად, არგუმენტირებული უარისთვის დაასახელა თავისი ბავშვობის მდინარე, რომელშიც ძალიან, ძალიან ენატრებოდა ფეხშიშველი შესვლა და თავის ბავშვობასთან შეხვედრა (სხვათა შორის, სოკრატეც ხომ ამბობდა: — ვაი იმას, ვისაც ბავშვობიდან არაფერი არ შერჩენიაო).

როგორ დავიჯეროთ, რომ მათ სიცოცხლესამკვდარ მდინარეში შესვლა ენატრებოდათ???

ყველა ნორმალურ ადამიანს ენატრება თავისი ბავშვობის მდინარე. საინტერესოა, ჩვენ რატომ ვუსაბოთ საკუთარ თავს, შვილებსა და შვილიშვილებს ამ ბედნიერებას? არა-ნორმალურები ვართ, მოთხოვნილება არ გავგანინა თუ ბრაკონიერების გვეშინია ან გვერიდება?

ისე, საინტერესოა, რამდენი ბრაკონიერი და მათი გულშემოტკივარი იქნება პროცენტულად ამ პატარა ქვეყანაში, რომლებმაც ამ უძველეს და უგანათლებულეს ერს ასე უმოწყალოდ გადააბიჯეს თუ გადაურეს?!

კი მაგრამ, რაშია საქმე, ხელისუფლებამ მართვა-გამეფობის ანბანი ვერ ისწავლა? არ აწუხებთ და

აინტერესებთ პრობლემა, თუ საზოგადოების სიყვარულით ზუჭავენ თვალს, ვინაიდან ამ საზოგადოებიდან არიან წარმოდგენილი???

ერთხელ გარდაცვლილის პანაშვიდზე მისულმა, უნებლიეთ მოისმინა ქელეხის „მენეჯერის“ და ახლო მეზობელი „მომმარაგებლის“ დიალოგი:

— ბიჭებმა 80 კგ „ტობი“ და 20 კგ არასტანდარტული „ქაშაპი“ მოიტანეს, როგორ მოვიქცე?

— გადახდილია მაგი, ის 20 კგ დინამიტი ჩვენი ხომ იყო...

ასეთი უმსგავსოა რომ ეგერაგერ ხდებოდეს, რა გვიჭირს, მაგრამ... რბილად რომ ვთქვათ, ყველაზე საგანგაშო სიმპტომი ის გახლავთ, რომ ჩვენი საზოგადოების არა ცოდნით, არამედ „გაგებით“, სირცხვილი ის კი არ ყოფილა, რომ ეს უნიკალური ბუნება აქოთებული, აოხრებული და გაჩანაგებულია, არამედ ამ პრობლემის გარშემო საუბარი...

ვიცი, რომ კომუნიზმის იდეოლოგია ცუდი არ ყოფილა, მაგრამ როცა მისმა მტრებმა სიმართლე ინტრიგად შერაცხეს (რაც ხალხმა ვერ გააკონტროლა) იმან მოულო ბოლო.

რატომ აღორძინდა აშშ? რა, ტერიტორია თუ წიაღისეული ჰქონდა მეტი, ვიდრე საბჭოთა კავშირს? ამ უკანსკნელს ორჯერ მეტი გააჩნდა ერთიც და მეორეც, მაგრამ სიმართლეს მალავდნენ. უკაცრავად, ნაგავს სუფთა ხალიჩას აფარებდნენ და აქოთებამდე წაყურებულები თავს იტყუებდნენ, მაშინ, როცა ანალოგიურ მდგომარეობაში აშშ-ში თეოდორ დრაიზერის „ამერიკის ტრაგედია“ ყველა ბეჭდვითა ორგანოში გამო-

აქვეყნა, რითაც საზოგადოებას თავის მანიერებაზე მიუთითა არჩევანის გასაკეთებლად.

ჩვენთან დღეს, 28 წლის გათავისუფლებულ საქართველოში (ეს დრო მოხმარდა მხოლოდ ჩინოვნიკების გამდიდრებას) ყველა სოფელში, ქუჩაზე, კორპუსში თუ უბანში ოჯახების უმეტესობა, ასე ვთქვათ, გზავჯარედინზეა — ბავშვები, მოზარდები, ახალგაზრდები, ხშირ შემთხვევაში რელიგიური მიდრეკილებით, პირველად იწერენ, ეკლესიაში დადიან, მარხულობენ და ა. შ. იქვე მშობლები, უმუშევრები, პრობლემებით, ანუ შვილების სწორ გზაზე დაყენების ფიქრში, რომლებსაც მეორე მხრიდან ეშმაკი ექაჩება, მათ ადვილად გამდიდრების გზას „ასწავლიან“.

იმ ავადსახსენებელი კომუნისტების მმართველობის პერიოდში იყო „ქუჩის კომიტეტი“ — ეს ქალაქში, სოფელში ალბათ — „უბნის კომიტეტი“, არ მახსოვს. მახსოვს ის, რომ მათ რაიმე განსაკუთრებული უფლებები არ ჰქონიათ, მეტიც, ჯამაგირიც არ ეძლეოდათ, მაგრამ, როგორც ხალხის რჩეულები, ხიდი ხალხსა და ხელისუფლებას შორის, აკეთებდნენ საქმეს.

ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს, ან სხვა პრობლემურ ოჯახებს ხშირად სტუმრობდნენ უბნის ინსპექტორთან ერთად, რასაც თუ იდეალური არა, გარკვეული შედეგი მოჰქონდა. საინტერესოა, უხელფასოდ ამ ხალხის შრომამ რით შეუშალა ხელი ხელისუფლებას?

ახლა წარმოვიდგინოთ იმ ზემოხსენებულ გზავჯარედინზე მყოფ ოჯახებს პრევენციული ღონისძიებებისათვის რომ ხშირად სტუმრობ-

ნენ ქუჩის კომიტეტი, უბნის ინსპექტორი, სასულიერო პირი (მამაო), პროკურატურის წარმომადგენელი კლასის დამრიგებელი და ა. შ. ეს იქნებოდა უმჯობესი თუ როგორც დღეს ხდება, გამთენიისას სპეცრაზმის შეჭრა გზაბნეულის ოჯახში. არა, ბატონებო! ასეთი მეთოდებით და ასეთი ხალხით ცივილიზებული სახელმწიფო არ აშენდება.

„თუ თქვენ პატიმრების გარკვეული რაოდენობა არ გეყოლებათ, ევროკავშირი და მსოფლიო ბანკი ციხეების მშენებლობას არ დაგიფინანსებთ.“ — განუცხადებია მ. საკაშვილს პრეზიდენტის რანგში ომბუდსმენ ელენე თევდორაძესთან საუბარში.

ქალბატონმა თევდორაძემ, მოვიანებით, მაგრამ ეს სამარცხვინო ფაქტი გამოამხურა, რაც უგანათლებულესმა ჩვენმა საზოგადოებამ უბრალოდ ვერ გაიგო. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ხელისუფლება („აქლემის ქურდი“ ხელისუფლება) პასუხისგებაში არ უნდა მიცემულიყო?

იმ პერიოდში „დემოკრატიის შუქურად წოდებულ საქართველოში 40 000 პატიმარი იყო უმთავრესად ლობიოს, ძეხვისა და „მობილურის“ ქურდობისთვის, როცა დიქტატორულ ბელორუსში — 1200. ასე მახსოვს ქალბატონი ელენეს გამოხვლიდან. იქნებ ცვლები და 12 000 თქვა, მაგრამ ეს 12 მილიონიდან.

თქვენი აზრით, ვაკერდეთ უნდა ასეთ სამარცხვინო ფაქტებზე, არაფერი ვთქვათ თუ ცოტა მაინც გავიჩოჩოთ წინ?

**ბრამიტო (გერგანა)  
გამინაშვილი**

# მედიცინა

## როგორ ავიცილოთ თავიდან ღორის გრიპი (H1N1)

**H1N1** გრიპი (ე.წ. ღორის გრიპი) არის რესპირატორული (სასუნთქო გზების) დაავადება, ეს გრიპის ვირუსი აინფიცირებს უკრედეტს, რომელიც მდებარეობს თქვენს ცხვირში, ყელსა და ფილტვებში.

**H1N1** პირველად 2009 წელს დაფიქსირდა. ამ დღიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ინფიცირდება ამ ვირუსით და შესაბამისად დაღუპულთა რიცხვიც მზარდია.

ღორის გრიპი არის უაღრესად გადამდები დაავადება, რომელიც ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე ჰაერის, ლორწოსა და ნერწყვის ნაწილაკებით. ბავშვები 5 წლამდე და 50 წელს ზემოთ მყოფი ადამიანები მიეკუთვნებიან ღორის გრიპის გაავრცელების მაღალ რისკ ჯგუფებს. სხვა რისკ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ სუსტი იმუნური სისტემა და ორსულობა.

### H1N1 ღორის გრიპის სიმპტომები და ნიშნები

ღორის გრიპის სიმპტომები ძალიან გავს ჩვეულებრივი სეზონური გრიპის სიმპტომებს. ისინი მოიცავენ: სიცხეს, დიარეას, სურდოს, ციებას, სხეულის ტემპერატურის ტიკვილს, შეშუპებას, გულსრევას და ღებინებას. სიმპტომები განვითარებას იწყებენ ვირუსის შეყვინიდან ერთ-სამ დღეში და გრძელდება დაახლოებით ერთი-ორი კვირა.

ვინაიდან ღორის გრიპის და სეზონური გრიპის სიმპტომები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ამიტომ მიზანშეწონილია ვეწვიოთ ექიმს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ვიმყოფებით იმ არეაში სადაც იფეთქა ვირუსმა.

ლაბორატორიული გამოკვლევები და შემდეგ უკვე დროულად დასმული დიაგნოზი საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ის გართულებები, რაც შეიძლება ღორის გრიპმა გამოიწვიოს.

ადამიანებს რომელთაც აქვთ ქრონიკული დაავადებები: ასთმა, დიაბეტი, გულის ან თირკმლის დაავადებები უფრო ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან მათ უფრო ურთულდებათ იმ მიზეზებთან გამკლავება, რომელსაც იწვევს ეს ინფექცია.

აუცილებელია სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღება თუ თქვენ განიცდით ისეთ სიმპტომებს როგორცაა: სუნთქვის გაძნელება, მუდმივი ღებინება, მოულოდნელი თავბრუსხვევა, დაბნეულობა, ტიკვილი მუცლისა და გულმკერდის არეში ან თუ ფიქრობთ, რომ დაძლიეთ გრიპის სიმპტომები

და ამ დროს ავიცილოთ თავიდან თავი და ამ დროს ავიცილოთ თავიდან თავი და ამ დროს ავიცილოთ თავიდან თავი

### სტანდარტული მითები ღორის გრიპი H1N1-ის შესახებ

**მითი №1:** თქვენ შეიძლება დაინფიცირდეთ თუ შეჭამთ ღორის ხორცს.

ეს არასწორია, რადგან თქვენ ვერ დაინფიცირდებით ვერც ღორის ხორცის ჭამისგან და ვერც მისგან დაშვადებული სხვადასხვა კერძებისგან. მიუხედავად იმისა რომ ძალიან დიდი მსგავსება ამ ვირუსებს შორის, ღორებში გავრცელებული გრიპი განსხვავდება H1N1-ისაგან (ანუ ადამიანებში გავრცელებული ღორის გრიპი და ღორებში გავრცელებული ღორის გრიპი არ უდრის ერთმანეთს).

ღორის გრიპი H1N1 ვრცელდება ჰაერატორული გზით, როდესაც დაინფიცირებული ადამიანი ახველებს ან აცემინებს ის აბინძურებს ჰაერს ან ზედაპირს და როდესაც ჯანმრთელი ადამიანი ხვდება ამ სივრცეში/ეხება ზედაპირს, მის ორგანიზმშიც აღწევს ვირუსი და იწყებს განვითარებას.

მელორები და ღორის ვეტერინარები უფრო მიდრეკილები არიან და ადვილად იკიდებენ ღორის გრიპს.

**მითი №2:** ვაქცინაცია სრული დაცულობის გარანტიაა

ეს მართალია, რომ ვაქცინაციას შეუძლია თქვენი დაცვა H1N1 ვირუსისგან. დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციით რომ ყველა ადამიანმა გაიკეთოს აცრა, გარდა 6 თვეზე პატარა ბავშვებისა. თუმცა გასოვლეთ რომ აცრა თქვენ გიცავთ ერთი წლით ვირუსებისაგან. აქედან გამომდინარე თუ თქვენ გსურთ იყოთ დაცული ამ მომავალდინებელი ვირუსისაგან ყოველწლიურად უნდა მიმართოთ კლინიკას ვაქცინაციისთვის.

**მითი №3:** არ არსებობს არანაირი წამალი ღორის გრიპის წინააღმდეგ

ესეც არ არის მართალი რა თქმა უნდა. არსებობს ანტივირუსული პრეპარატები რომელთაც შეუძლიათ H1N1 ვირუსისაგან ადამიანის განკურნება. ამ პრეპარატებს შეუძლიათ როგორც გრიპის ხანგრძლივობის, ასევე სიმპტომების ინტენსივობის შემცირება. თუმცა დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობა აუცილებელია, რათა შესაბამისი გავლენა იქონიონ ვირუსზე პრეპარატებმა.

ღორის გრიპის H1N1 სამკურნალოდ დღეისათვის გამოიყენება ოთხი ანტივირუსული პრეპარატი,

რომელიც დამტკიცებულია მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO-World Health Organization) მიერ. ღორის გრიპის წინააღმდეგ გამოიყენებენ შემდეგ პრეპარატებს: ოსელტამივირი (Oseltamivir), ზანამივირი (Zanamivir), ამანტადინი (Rimantadine) და რიმანტადინი (Rimantadine).

**მითი №4:** ღორის გრიპი H1N1 ვირუსი არ არის გადამდები ეს არის სიცრუე. ეს დაავადება არის ძალიან გადამდები და სწრაფად გავრცელებადი დაინფიცირებული ადამიანიდან სრულიად ჯანსაღ ადამიანზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ ვირუსი ვრცელდება დაბინძურებული ჰაერით ან ზედაპირით.

ღორის გრიპის თავიდან ასაცილებლად უნდა მოერიდოთ ვირუსით დაავადებულ ადამიანებთან კონტაქტს, რეგულარულად უნდა დაიბანოთ ხელები საპნით, გარცხოთ ტანსაცმელი თბილი წყლით და გაწმინდოთ თქვენი საშუალო ოთახი (ოფისი, სახლი) სხვადასხვა სადეზინფექციო საშუალებებით.

### რჩევები თუ როგორ უზრუნველყოთ ღორის გრიპის გავრცელება

ღორის გრიპის ვირუსით სიკვდილიანობის ზრდის გამო მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ ეს ინფექცია გამოაცხადა გლობალურ პანდემიად. აქედან გამომდინარე უნდა შევასრულოთ ის რჩევები რაც ხელს შეუშლის ღორის გრიპს გავრცელებაში.

დაიბანეთ ხელები საპნით დღეში რამოდენიმეჯერ თან იქონიეთ სპირტის ბაზაზე დამზადებული სველი ხელსახოცი მოგზაურობისას

ეცადეთ იშვიათად შეეხოთ ხელით თქვენს თვალებს, ცხვირსა და პირს

ერიდეთ ყველა იმ ადამიანთან კონტაქტს რომელსაც აქვს გრიპი გამოიძინეთ კარგად, რათა ორგანიზმმა სრულყოფილად დაისვენოს

მიიღეთ რაც შეიძლება ბევრი სითხე (წყალი, ნატურალური წვენი და ფრუტი)

მიიფარეთ ცხვირსახოცი (ან მოხრილი ხელი) როდესაც ახველებთ ან აცემინებთ

შინიდან გასვლის დროს გამოიყენეთ ნიღაბი, გრიპის სეზონზე როდესაც თქვენ ერთხელ გამოიყენებთ ხელსახოცს/ცხვირსახოცს გადაავლეთ ის და აღარ გამოიყენოთ ხელმოკრულ თუ თავს ცუდად გრძობთ და

**ღორის გრიპი H1N1 სიმპტომები, მითები და რჩევები**

ღორის გრიპის ნიშნები და სიმპტომები

სიცხე	დიარეა
სურდო	ციება
ყელის ტიკვილი	სხეულის ტემპერატურის ტიკვილი
შეშუპება	გულსრევა

**მითები ღორის გრიპის H1N1-ის შესახებ**

**როგორ გადავრჩეთ ღორის გრიპს - ხშირად დაიბანეთ ხელები**

- გამოიყენეთ სპირტის შემცველი სველი ხელსახოცი მგზავრობისას
- ეცადეთ იშვიათად შეეხოთ ხელით თქვენს თვალებს, ცხვირსა და პირს
- ერიდეთ გაცივებულ ადამიანებთან კონტაქტს
- გამოიძინეთ კარგად, რათა ორგანიზმმა შესაბამისად დაისვენოს
- მიიღეთ რაც შეიძლება მეტი სითხე
- იიფარეთ პირზე ცხვირსახოცი, როცა აცემინებთ ან ახველებთ
- გრიპის სეზონზე გაიკეთეთ ნიღაბი და ისე გადით გარეთ

**მითი #1** ღორის ხორცს თუ შეჭამთ გრიპი გადმოგედება

**მითი #2** აცრის გაცემების შემთხვევაში 100%-ით დაცული იქნებით

**მითი #3** არ არსებობს წამალი ღორის გრიპის წინააღმდეგ

**მითი #4** ღორის გრიპი არ არის გადამდები

**STOP H1N1**

**? iHOW.GE**

გაქვთ ღორის გრიპის ნიშნები დარჩით სახლში/ეწვიეთ ექიმს და ნუ წახვალთ სამსახურში ან სხვა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში რათა არ გაავრცელოთ ვირუსი

თუ თქვენ გაქვთ ცხელება, დაიღეთ გრილი საფეხები შუბლზე, მხრებსა და ფეხებზე, რათა შეამციროთ დისკომფორტი რომელიც გამოწვეულია ცხელებისგან

გამოიყენეთ ჰაერის დამატენიანებელი, რათა სუნთქვა თქვენს ოთახში გახდეს ადვილი და სასიამოვნო

პირში/ყელში გამოივლეთ თბილი მარილიანი წყალი რათა

შეგიშვებოთ ყელის ტიკვილი გრიპის სეზონზე უფრო მეტი რაოდენობით მიიღეთ ის პროდუქტები, რომელიც აძლიერებს თქვენს იმუნურ სისტემას: ნიორი, ჯინჯერი, ალოე ვერა და ა.შ

დალიეთ რამოდენიმე ჭიქა მწვანე ჩაი ყოველდღიურად

დალიეთ 1-2 ჭიქა თბილი რძე ყოველდღიურად, რათა შეინარჩუნოთ ძლიერი იმუნური სისტემა იყავით აქტიურები და ივარჯიშეთ ყოველდღიურად რათა იყოთ ჯანმრთელები და ძლიერები.

ihow.ge

# წითელა



**რა არის წითელა?**  
წითელა არის რესპირატორული (სუნთქვითი) ინფექცია, რომელსაც ასასიათებს ძალიან მაღალი გავრცელების უნარი. ის იწვევს გამონაყარს მთელს

სხეულზე და გაციების მსგავსს სიმპტომებს. იმ ქვეყნებში, სადაც ვაქცინა ძალიან გავრცელებულია და მოსახლეობის თითქმის მთელი ნაწილი იტარებს სავალდებულო აცრებს, წითელას შემთხვევები ფაქტობრივად აღარ არსებობს.

წითელას გამოწვევი არის ვირუსი, შესაბამისა, არ არსებობს მისი სპეციფიური მკურნალობა. ვირუსმა უნდა გაიაროს თავისი გზა. პაციენტმა უნდა მიიღოს დიდი რაოდენობით სითხე, იყოს მოსვენებულ მდგომარეობაში და დარჩეს სახლში, რათა არ გაავრცელოს ინფექცია.

### წითელას სიმპტომები და ნიშნები

წითელას ინფექციის პირველი ნიშნები არის: ხველა, ცხვირიდან გამონაყარი, მაღალი სიცხე და ჩაწითელებული

თვალები. ასევე, ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ კოპლიკის ლაქები (პატარა წითელი ლაქები მოლურჯო-მოთეთრო ცენტრით) პირის ღრუში, სხეულზე გამონაყარის გამოჩენამდე.

გამონაყარი ჩნდება ზემოთსუნებულ სიმპტომების დაწყებიდან 3-5 დღეში, ზოგჯერ თან სდევს მაღალი სიცხე - 40 °C-მდე. წითელი ან მოწითალო-მოყვითოლო გამონაყარი პირველად თავს იჩენს შუბლზე, როგორც ბრტყელი, წითელი ლაქები. შემდეგ ვრცელდება მთელ სხეულზე, ჩადის კისერზე, ტანზე, ხელზე, ფეხზე. სიცხე და გამონაყარი ნელნელა ქრება რამდენიმე დღის განმავლობაში.

### რამდენად დაავადება წითელა?

წითელა არის ძალიან გადამდები დაავადება. 10-დან 9 ადამიანი, რომელიც

არ არის აცრილი დაინფიცირდება ამ ვირუსით, თუ მოხვდება ასეთ ადამიანთან ახლოს. ის ვრცელდება წვეთების მეშვეობით, როდესაც წითელათი დაავადებული ადამიანი ახველებს, აცემინებს და ა.შ.

### წითელას გავრცელება

არ არსებობს სპეციფიური მკურნალობა. არსებობს სიმპტომების შემსუბუქება, ამისთვის:

მეცით ბავშვს რაც შეიძლება მეტი სითხე

მეცით საშუალება, რომ იყოს მოსვენებულ მდგომარეობაში

მეცით სიცხის დამწვევი საშუალება, ოღონდ არა ასპირინი. (თუ რატომ არ უნდა მისცეთ ასპირინი იხილეთ აქ) მაგალითად: აცეტამინოფენი, იბუპროფენი. როგორც უამრავი სხვა დაავადების

შემთხვევაში აქვს არსებობს გართულების საფრთხე, ამიტომ თქვენი ექიმი უნდა იყოს საჭიის კურსში.

რამდენ ხანს გრძელდება წითელა? წითელას ინფექცია შესაძლებელია გავრცელდეს რამდენიმე კვირა. ადამიანების უმეტესობას არ აქვს სიმპტომები, წითელას შეყვინიდან 10-14 დღე.

და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩაუტარეთ თქვენს ბავშვს ყველა სავალდებულო აცრა, რომელსაც ასევე შედის ღ ვაქცინა (წითელა-წითურა-ყაყურას აცრა) და იყავით დაცულები.

ავტორი: ქეთი სულაბე

# აპსკერტინგი ინგლისში დანაშაულად ცნეს, სასჯელი უეიკლება ორწლიანი ციხე იყო

ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით მოკლევადიანი ქალის მალული გადაღებისათვის (აპსკერტინგი) ბრალდებულს ინგლისში და ახლა უკვე უელსშიც შეიძლება ორ წლამდე ციხე მიესაჯოს.

მიმდინარე კვირაში ლორდთა პალატამ მესამე მოსმენით ცვლილება შეიტანა კანონში „სექსუალური ხასიათის დანაშაულის შესახებ“. დოკუმენტის თანახმად, „მოწყობილობის ოპერირება“ მეორე ადამიანის ტანსაცმლის შიგნით ფოტოგრაფირების ან ვიდეოზე კენიტალის, უკანალის რბილი ქსოვილის და მათი მფარავი თეთრეულის გადაღების მიზნით, მიჩნეულია ვუაიერიზმის სახესხვაობად და შეიძლება დაისაჯოს ჯარიმით, ან/და ორ წლამდე ციხით.

აპსკერტინგი სერიოზული პრობლემა გახდა სმარტფონების გამოჩენიდანვე. ამიტომ სხვადასხვა ქვეყანაში ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა შესაბამისი საკანონმდებლო სტატიები და ასეთი ქვეყნები უკვე

არც ისე ბევრია. ინგლისში იმისათვის, რომ აპსკერტინგი ეცნოთ დანაშაულად, კამპანია 2017 წლის დანაშაულის დაიწყო ლონდონში მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა **ჯინა მარტინმა**. ამავე წლის ზაფხულში იგი მსხვერპლი გახდა თავხედური აპსკერტინგისა ჰაიდპარკში გამართულ კონცერტზე.

პოლიციელები გაესაუბრნენ მოკლევადიანი გოგონას გადაძღვებამიანს მოთხოვეს გადაეშალა სურათი.

ეს იყო მაქსიმუმი, რაც მათ შეძლეს წესრიგის დამრღვევთან მიმართებაში. ჯინა შეეცადა, დაესაჯა მოძალადე.

„გავარკვიე, რომ ერთადერთი კანონი, რომლის მიხედვით შემძლო ის სასამართლოსთვის მიმეცა - ეს იყო ძველი კანონი სახალხოდ შეურაცხყოფის შესახებ. ამ კანონის მიხედვით არც ისეთი შემზარავი და უღირსი საქციელის თვითმხილველი უნდა იყოს არანაკლებ ორი ადამიანი, - უთხრა ჯინამ ბიბისის-ს 2017 წლის აგვისტოში. -

ირონია იმაშია, რომ ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მსჯელობენ, რომ საქმე გვაქვს ექსციზიციონიზმთან, მარტივად რომ ვთქვათ, ინგლისსა და უელსში აპსკერტინგისგან დამცავი ერთადერთი კანონის ავტორები იმაზე წუხან, დიანაზე თუ არა საზოგადოებამ და არა იმაზე, როგორ დღეშია მსხვერპლი“.

ჰაიდ-პარკის შემთხვევის შემდეგ ჯინამ დაიწყო კამპანია კანონის მისაღებად. ეს კამპანია წლინახევრის შემდეგ მისი გამარჯვებით დასრულდა.

„მე მეშვიდე ცაზე ვარ 18-თვიანი დაძაბული, ემოციური, ცხოვრების შემცვლელი მუშაობით. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ პოლიტიკაში ვერაფერს შევცვლი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიზნის მისაღწევად საჭიროა ნება და მართალი ხალხი“.

„მართალ ხალხში“ მან ის იურისტები იგულისხმა, რომლებიც კამპანიაში მონაწილეობდნენ

# მადლობა გულისხმიერიებისთვის

სახლში მძიმე ვადმყოფი მყავს - სიძე, ბონდო უფლისაშვილი. სოციალურ დახმარებას არ ვეძებე იმ მოტივით, რომ თხილის ნარგობა გაქვო. მუნიციპალიტეტის მერია გვეხმარება, სამკურნალო ხარჯებში.

ვარ უფასო სასადილოს ბენეფიციარი. კარგად გვემსახურებიან. საკვები ყოველდღიურად მოაქვთ სახლში, რაც ჩვენს მძიმე სოციალურ მდგომარეობას ამსუბუქებს.

მინდა მადლობა გადავუხადო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს **კონსტანტინე შარაშენიძეს**, მოადგილე **ირაკლი სირაძეს**, მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს დირექტორ **ნათია ლლონტს**, თანამშრომლებს: **კახა ჩხარტიშვილს**, **მზია ინწკირველს**, **ნინო დადიანს**, **მელა მჭავიას**, **ნონა ქიქოძეს**.

**ლაბარა ვრანგულაშვილი**,  
ქ. ოზურგეთი, წმ. გიორგის №45-ში მცხოვრები.

# ჩემთვის მათ მიერ გაწეული დახმარება ფასდაუდებელია

თქვენი გაზეთის საშუალებით, კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც, გაჭირვების დროს გვერდით დამიდგა. დიდი მადლობა ოზურგეთის სასწრაფო დახმარების ყველა თანამშრომელს ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის. სხვადასხვა პრობლემის გამო ხშირად მიწევს მათთვის დახმარების თხოვნა. დაუხარელოდ მოდიან, მანუ გეშევენ. ჩემთვის მათ მიერ გაწეული დახმარება ფასდაუდებელია. რამდენიმე თვის წინ მენჯ-ბარძაყის მოტეხ-

ილობა მივიღე. ორი ოპერაციის გაკეთება მომიწია. ახლა რეაბილიტაციის პერიოდი მაქვს. მჭირდება მუხლის ფიქსატორი რომელიც ეხმარება მუხლის სახსარს ტრამპის შემდგომ რეაბილიტაციაში და იცავს მას დამატებითი დაზიანებისაგან. სამწუხაროდ მისი შეტენისთვის საჭირო თანხა არ მაქვს. ამ როდელ დღეებში ოზურგეთელი მედპერსონალის გვერდში დგომა ჩემთვის დიდი ნუგეშია. **მანანა მგებლაძე**,  
ქ. ოზურგეთი, ნინოშვილის ქუჩის მცხოვრები.

# სკანვორდი



						შეძახილი ხარის გასაღენად			მდინარე სამაჩაბლოში	სარეცხის ფხვნილი	სას-ელმწიფო აფრიაში		ქამარი
			სიგრძის სამომი ერთეული										ღელა გურულად
						მთა ხობის მუნიცი-ში							
		ჭაობის ბუ				მალაღის ანგი პოლი							
		ფრანგი ფეხბურთელი	შრი-ლანკა ანუ				პროვინცია ზამბიაში	ყურთასმენის წამლები		ყაბზობისას რომ უკეთებენ			
			მზის სისტემის ცლომილი							მოჭადრაკე ... კრამლინგი	მსუბუქი სიცილი	კომში	სამღვარი
							კურკოვანი ხილი	ფიასკო	ღათვის სახეობა				
ფილიპინების დელაქალაქი		ჰილან წყლის ამოსაღები		მერ ნოტი	საპორტო ქალაქი იტალიაში		კურორტი ალიგენის მუნიცი-ში						ტბა აფხაზეთში
							კლასიკოსი მწერალი						
			მუნიცი-პალიტეტი აფხაზეთში		მესამე ხმა							ღვინის შესანახი	
								ქალის სახელი					
სადაც შაქარს წარმოებენ				ღასახლებული პუნქტი			ქართული გვარი	ღიას					პირველი სამიშნარიცხე

# № 3-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - ანტუან ლორან ლაფუაზი; დაღესტნელი დიდებული - ნონი; ცხენკაცი - კენტავრი; ქალაქი საფრანგეთში - ნანტი; გრიპის საწინააღმდეგო წამალი - ტამიფლუ; ... პუგაჩოვა - ალა; გამარჯვების შეძახილი - ვაშა; უზბეკეთის დელაქალაქი - ტაშკენტი; ლუწის ანტიპოდი - კენტი; ქათამი კვერცხის დეზამდე - ვარია; წელიწადის მე-11 თვე - ნოემბერი; ფრინველი - შოშია; ღვინის პალმა - რაფია; შოკოლადის სახეობა - ფილა; ფერადკანიანი - მავრი; ნიადაგის ტიპი - მლაშობი; გვიანტური თევზი - სვია; სოლო ოპერაში - არია; ტყვიის ბუდე - მჭიდი; მეფის თანმშლები პირები - ამალა; სომხური წვნიანი კერძი - გუფთა; ღათვის ნაშიერი - ბელი; სარეველა მცენარე - გლურტა; ძილის მოკიდება - რული; ბილიარდის ჯოხი - კია; ბოსტნეული მცენარე - კამა; ჭურჭლის სახეობა - ზიარი; ზრახნიანი ლურსმანი - შურუფი; თევზის ფინური კერძი - კალოკუნო; ერთგვარი ფლომასტერი - მარკერი; გალაკტიონს ეძახდნენ - გალა; წყლის პრიმიტიული ტრანსპორტი - ტივი; კურკოვანი მცენარე - ნუში; მცხუნვარე მზე - თაკარა; მდინარე ციმბირში - ნია; გამჟღავნებელი ფირი - ნეგატივი; სავარცხელიანი ფრინველი - ოფოფი.







# კობა დუნდუა ყაზახეთში სხვადასხვა ქვეყნის მოცეკვავეებს მასტირკლასები ჩაუტარა



ანსამბლ „გურიას“ სამხატვრო ხელმძღვანელი კობა დუნდუა ყაზახეთში, მსოფლიო ხალხთა ცეკვების პირველი საერთაშორისო კონკურსის ფურის წევრი იყო. აღნიშნული კონკურსი 20-23 იანვარს ქ. ასტანაში ჩატარდა. ამ და სხვა საინტერესო თემებზე კობა დუნდუა თავად გვესაუბრა.

**კობა დუნდუა:** ყაზახეთში ტარდებოდა მსოფლიო ხალხთა ცეკვების პირველი საერთაშორისო ინდივიდუალურ

შემსრულებელთა კონკურსი. ეს იყო გულან ტალბაკოვას სახელობის კონკურსი. გულან ტალბაკოვას შეიძლება ვუწოდოთ ყაზახური ცეკვების დედა-დედოფალი. მან შექმნა ყაზახი ქალის სახე საკუთარი ქვეყნის ფოლკლორში. იგი 50 წელზე მეტი სოლო პარტიებს ასრულებდა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი მასურებული მოჰყავდა ალტაცებაში. არაერთი საცეკვაო ნომერი შექმნა, ფოლკლორი-

დან გადმოიტანა და გააცოცხლა დაახლოებით ოთხი ათასი ცეკვა და საფუძველი ჩაუყარა ყაზახური სოლო ცეკვის ხელოვნებას.

### – როგორ ჩაიარა კონკურსმა?

– არაჩვეულებრივად ჩაიარა. ფურში ვიყავით შვიდი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი. კონკურსში მონაწილეობდა ექვსი ქვეყანა ტაჯიკეთი, ბაშკირეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, რუსეთი და ა.შ.

### – საქართველო არ იღებდა კონკურსში მონაწილეობას?

– არა, რადგან ჩვენთან სამწუხაროდ სოლო პარტიები არ არის. საქართველოში არის მხოლოდ დუეტები. აღნიშნული კი სოლო პარტიების კონკურსი იყო. შემდეგ, როცა ჩვენ კონკურსს ვაჯამებდით, ქალბატონმა გულანმა გამოთქვა სურვილი რომ გამოიკლინა სახით იქნებინა იმ ქვეყნებიც წარმოდგენილი, რომლებსაც არ აქვთ სოლო პარტიები. კონკურსი დაიწყო 20 იანვარს. 21-ში გვექონდა ძალიან დიდი მასტირკლასი. ფურის ყველა წევრი ვატარებდით მასტირკლასებს. დაახლოებით 200 მოცეკვავეს ჩაუტარე მასტირკლასი ერთი დღის განმავლობაში. უცხოელი მოცეკვავეები ვაზიარე ქართულ ცეკვას.

### – რა შედეგით დასრულდა კონკურსი?

– ყველა მონაწილემ ძალიან ძლიერი, ბრწყინვალე საშემსრულებლო ოსტატობა გამოავლინა. ჩვენ ვეცადეთ მაქსიმალურად სამართლიანად გავეწინაწილებინა საპრიზო ადგილები.

### – ანსამბლ „გურიას“ სამომავლო გეგმებზე გვითხარით. რა სიახლეებს უნდა ველოდეთ თქვენი გულშემატკივრები?

– ჩვენ ვიწყებთ მზადებას სოლო კონცერტისთვის. გვინდა გავმართოთ ახალი პროგრამის პრემიერა. სავარაუ-

დოდ ეს იქნება ივნისის თვეში. სამწუხაროდ, ოზურგეთში ამ ეტაპზე შესაბამისი დარბაზი არ არის, რადგან თეატრის შენობას სარემონტო სამუშაოები უტარდება. ვფიქრობთ, რა ფორმით მოვახერხოთ რომ კონცერტი ოზურგეთში ჩავატაროთ. ეს იქნება გურული პროგრამა, ამიტომ ოზურგეთელმა მაცურებელმა აუცილებლად უნდა ნახოს.

### – როგორ მიმდინარეობს ანსამბლში თაობათა ცვლა. გვათხარით ახალი მოცეკვავეები?

– ჩვენთან ახალი თაობა ყოველთვის მოდის. ანსამბლი არის ცოცხალი ორგანიზმი. ყოველთვის მიდიან მოცეკვავეები და ამავე დროს ახლები მოდიან. ისე რომ თაობის ჩავარდნა იყოს არ არსებობს. ანსამბლი ყოველთვის მუშაობს, ყოველთვის ფორმაშია. საკმარისია ხელმძღვანელობამ თქვას ნებისმიერ დღეს, ნებისმიერ წუთს ანსამბლი მზად არის კონცერტისთვის. ასე რომ ანსამბლის მუშაობას თაობათა ცვლა ხელს არ უშლის. პირიქით ჩვენ ვეხმარებით მოცეკვავეებს. ზოგს „ერი-სიონის“ უნდა წასვლა ზოგს

„სუნიშვილებთან“, აკადემიურ ანსამბლებში. ჩვენ მათ ვუწვევთ რეკომენდაციას. ჩვენ გვაქვს სტაჟიორების ჯგუფი. ბავშვები 12-დან 14 წლამდე ეუფლებიან საცეკვაო ხელოვნებას და 14 წლიდან გადაგვავს ანსამბლში.

### – რა სიახლეები გაქვთ? ახალი ცეკვებზე გვითხარით.

– ახალი რეპერტუარში გვაქვს გურული ცეკვები. აღვადგინეთ გიორგი სალუქვაძისეული ცეკვები. ჩემი რეპერტუარით გაკეთდა ცეკვა „ლელო“. ერთი ნომერი დაემატა გურის საცეკვაო ხელოვნებას. ეს არის ჩემი საავტორო ცეკვა, გურული მხედრების ცეკვა, ჯერ სახელი არ მოგვიფიქრებია, ვართ ფიქრის და ძიების პროცესში. გამოვიდა ძალიან ეფექტური და სასიამოვნოდ საყურებელი ნომერი. მითომ, რომ გურული ფოლკლორი, გურის ისტორიაა მდიდარია. ამ ისტორიიდან შეიძლება ბევრი რამის ამოღება და მასზე საცეკვაო ნომრის შექმნა.

ესაუბრა მარი კოპოვი



## ტელეკომპანია „გურიაTV“ კიდევ ერთი საბრანტო კონკურსის გამარჯვებულია



ტელეკომპანია „გურიაTV“ კიდევ ერთი საბრანტო კონკურსის გამარჯვებულია. - ინფორმაციას საკუთარ ფეისბუქგვერდზე ტელეკომპანიის დირექტორი ავთო გვეუბნებიან ავრცელებს. „ინტერნოუსი -საქართველოს“ პროექტის „დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება ევროპასა და ევრაზიაში“ ფარგლებში „გურიაTV“ მულტიმედია პროდუქტებს დაამზადებს. 2019 წლის დასაწყისში ტელეკომპანია განახორ-

ცილებს ასევე „Open Media Hub“-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტის განხორციელებას, რომელიც გენდერულ თემაზე მედია პროდუქტის მომზადებას ითვალისწინებს, - წერს გველებიანი. ვულოცავთ „გურია TV“-ს საგრანტო კონკურსში გამარჯვებას და წარმატებული საეთერო სივრცის გაფართოვებას ვუსურვებთ.

## ვაკო ყაზაიშვილმა აშშ-ის "შფვანე ბარათი" მიიღო და ახიერიდან საკუთარ კლუბში ლეგიონერად აღარ ითვლება



"სან ხოსეს" კართველმა ლეგიონერმა ვაკო ყაზაიშვილმა აშშ-ის "შფვანე ბარათი" მიიღო და ახიერიდან საკუთარ კლუბში ლეგიონერად აღარ ითვლება. როგორც აქტიური კლუბის ოფიციალური გვერდი თქვება, ამ დროისთვის "სან ხოსესი" 9 ლეგიონერი რჩება, რომელთა შორისაც ერთ-ერთი კიდევ ერთი ქართველი გურამ კაშიაა. ვაკო ყაზაიშვილი "სან ხოსეს" მოთამაშე 2017 წლის ივნისში გახდა და მას შემდეგ ჩატარებულ 46 შეხვედრაში 15 გოლი და 7 საგოლე გადაცემა შეასრულა.

**„Siberian Wellness“**  
ნოვოსიბირსკის ბრანდი

სამართაშორისო ბაზარზე 1996 წლიდან ამჟამად საკუთარი ინოვაციური წარმოება, პროდუქცია შუამავს 40-ზე მეტ ქვეყანაში, წარმოამდგენლობა ბაზნინილი აშშს 26 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში! პროდუქცია მთლიანად ნატურალურია, მოკვამულია ალტაის მხარის მკვლევარულ სუთთა ტერიტორიაზე. მზადდება 21-მ საუბუნის ნაწილ ტემპლორებიტით, ჟორაშულები

**შუამანავა მუშაობს ათეულრებით მენიერ-აკადემიკოსი!**

საქართველოში შუამოღის 300-ზე მეტი დასახელები პროდუქტი, მათ შორის ჰიბინა, კოსმეტიკა, ბავშვთა და სპორტული ხაზები!


**ფასები საკამოდ ხელმისაწვდომია, ხარისხი კალზე მაღალი!**

**შუამდგენლობიდან გამომდინარე ბიო პროდუქციას არ ამხს გემრდითი მოქმედებები და უპრევენებები! ჰიბინისა და კოსმეტიკის საშუალებები არ შეიცავს ფთალატებს, სორბატებსა და კონსერვანტებს!**

**ნოვოსიბირსკის კორპორაცია „Siberian Wellness“ -ის საქართველოში წარმოამდგენლობის მქიმი -კონსულტანტი მიაა ღვანოქა**

**საპონტატო ნომერი 557 77 41 91 .**

**კონსულტანტია უფასოა.**



**SIBERIAN WELLNESS**

 <b>მზე,</b> <b>+4+11</b> 28 იანვარი ორშაბათი	 <b>მზე,</b> <b>+5+12</b> 29 იანვარი სამშაბათი	 <b>მზე,</b> <b>ღრუბლი</b> <b>+4+14</b> 30 იანვარი ოთხშაბათი	 <b>მზე,</b> <b>ღრუბლი</b> <b>+4+12</b> 31 იანვარი ხუთშაბათი	 <b>მზე,</b> <b>ღრუბლი</b> <b>+7+11</b> 1 თებერვალი პარასკევი	 <b>მშვიდი</b> <b>წვიმა</b> <b>+4+9</b> 2 თებერვალი შაბათი	 <b>მშვიდი</b> <b>წვიმა</b> <b>+3+6</b> 3 თებერვალი კვირა
---	---	--	---	---	--	---

### 7 დღის ამინდის პროგნოზი